

ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 2 997,4 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 2 503,8 ათასი ლარის შემოსულობები და შემოსულობების კვარტალური გეგმა შესრულებულია 83,5 პროცენტით. ცხრ. N1

დასახელება	2022 წლის პირველი კვარტლის გეგმა			2022 წლის იანვარ-მარტი შესრულება			კვარტლის გეგმა შესრულების %
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
შემოსულობები	2 997,414	1 049,4	1 948,008	2 503,840	554,022	1 949,818	83,5
გადასახადები	1 825,5	0,0	1 825,5	1 818,397	0,0	1 818,4	99,6
ქონების გადასახადი	50,0	0,0	50,0	165,315	0,0	165,315	330,6
დამატებული ღირებულების გადასახადი	1 775,5		1 775,508	1 653,082		1 653,082	93,1
გრანტები	1 049,4	1 049,4	0,0	554,022	554,022	0,0	52,8
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	369,8	369,754		252,602	252,602		68,3
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	552,0	552,038		173,8	173,806		31,5
საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების ფონდი	127,6	127,614		127,6	127,614		100,0
სხვა შემოსავლები	119,5	0,0	119,5	123,004	0,0	123,004	102,9
პროცენტები	0,0			0,957		0,957	#DIV/0!
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	5,0		5,0	38,201		38,201	764,0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაენობა და სხვა) გადაცემიდან	1,0		1,0	5,031		5,031	503,1
სანებართვო მოსაკრებელი	1,0		1,0	0,415		0,415	41,5
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	12,5		12,5	20,4		20,375	163,0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	100,0		100,0	58,0		58,025	58,0
არაფინანსური აქტივების კლება	3,0	0,0	3,0	8,4	0,0	8,4	280,6
არაწარმოებული აქტივები	3,0	0,0	3,0	8,4	0,0	8,4	280,6
მიწა	3,0		3,0	8,4		8,417	280,6

გადასახადები მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 1 825,5 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 1 818,4 ათასი ლარი, მათ შორის ქონების გადასახადი 50,0 ათასი ლარის ნაცვლად 165,3 ათასი ლარი; ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი დაგეგმილი 1 775,5 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული გვაქვს 1 653,1 ათასი ლარი, გადასახადების კვარტლის გეგმა შესრულებულია 99,6 %-ით და გეგმის შესრულებას დააკლდა მხოლოდ 7,1 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერებიდან მუნიციპალიტეტმა პირველ კვარტალში მიიღო 554,0 ათ. ლარი, აქედან მიზნობრივი ტრანსფერი მიღებულია 252,602 ლარი, მ.შ სამხედრო სამსახურის და საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის 38,7 ათასი ლარი, ხოლო მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის 213,902 ათ. ლარი საქ. მთავრობის N 51 განკარგულებით.

კაპიტალური ტრანსფერი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 301,4 ათასი ლარი - მ. შ. საქ. მთავრობის N 75 განკარგულებით რეგიონალური განვითარების ფონდიდან გზების რეაბილიტაციისათვის 173,8 ათასი ლარი და საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლადსაქ. მთავრობის N 1419 განკარგულებით 127,614 ათასი ლარი.

გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით შემცირებულია მიღებული ტრანსფერების ოდენობა 189,678 ათასი ლარით, ძირითადად მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი მიზნობრივი ტრანსფერის ხარჯზე, ვინაიდან მუნიციპალიტეტის უმეტესი საჯარო სკოლა გადასული იყო სწავლების ონლაინ მეთოდზე, იანვარ-თებერვლის თვეში გავრცელებული კოვიდპანდემიის გამო. 2021 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებული გვექონდა 743,7 ათასი ლარის ტრანსფერი.

სხვა შემოსავლების გეგმა პირველ კვარტალში განისაზღვრა 119,5 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 123,0 ათასი ლარის სხვა შემოსავლები და გეგმა შესრულებულია 102,9 პროცენტით. ასევე, მიმდინარე წელს გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით სხვა შემოსავლები შემოსულია 346,999 ათასი ლარით ნაკლები. გასული წლის პირველ კვარტალში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მიღებული იყო 470,003 ათასი ლარის სხვა შემოსავალი, რაც ძირითადად გამოწვეული იყო წინა 2020 წელს სახ. ფონდებით გაცემული და აუთვისებელი საავანსო თანხების 2021 წლის იანვრის თვეში დაბრუნებით.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულობები პირველ კვარტალში დაგეგმილი 3,0 ათასი ლარის ნაცვლად შემოსულია 8,4 ათასი ლარი მიწის რეალიზაციიდან.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი გადასახდელების ნაწილში განისაზღვრა 4 882.9 ათასი ლარით, ფაქტიურად გაწეულია

3 167,020 ათასი ლარი. ხარჯების დაფინანსების წყაროდ გარდა შემოსულობებისა გამოყენებულია 2022 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთი 1 885,5 ათასი ლარი.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ათვისებას, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაგეგმილი იყო 1 637,5 ათასი ლარის ხარჯების გაწევა, ფაქტიურად პირველ კვარტალში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებიდან გაწეული იქნა 578,2 ათასი ლარი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 223,3 ათასი ლარით ნაკლები, 2021 წლის პირველ კვარტალში სახელმწიფო ფონდებიდან ათვისებულია 801,2 ათასი ლარი. რაც ძირითადად გამოწვეულია ცუდი კლიმატური პირობების (უხვი ნალექები) გამო.

ცხრ. N2

ორგ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2022 წლის პირველი კვარტლის გეგმა			2022 წლის იანვარ-მარტი შესრულება			კვარტლის ბუჯეტის შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	4 882,9	1 637,5	3 245,418	3 167,020	578,244	2 588,776	64,9
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულება	1 231,475	17,6	1 213,895	948,460	16,500	932,0	77,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1 217,1	17,6	1 199,520	948,5	16,5	932,0	77,9
01 01 01	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	340,3	0,0	340,287	243,220	0,0	243,220	71,5
01 01 02	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია	843,2	1,1	842,117	679,478	0,0	679,5	80,6
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	30,7	16,5	14,191	24,838	16,500	8,3	80,9
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი	2,9	0,0	2,925	0,924	0,0	0,9	31,6
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	14,4	0,0	14,375	0,0	0,0	0,0	0,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	14,4	0,0	14,375	0,0	0,0	0,0	0,0
01 02 02	წინაპერიოდში წარმოქმნილი და ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0,0	0,0	0,000	0,0	0,0	0,0	#DIV/0!
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	0,0	0,0	0,000	0,0	0,0	0,0	#DIV/0!
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	1 417,813	1 127,6	290,205	342,807	197,0	145,8	24,2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 233,9	1 101,2	132,742	186,240	171,2	15,0	15,1
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	1 178,4	1 075,5	102,912	171,230	171,2	0,0	14,5
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	13,3	2,2	11,050	10,829	0,0	10,8	81,7
02 01 04	ხიდების, ბოგირების მშენებლობა, რეაბილიტაცია	33,8	23,5	10,315	0,000	0,0	0,0	0,0
02 01 05	მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა	8,5	0,0	8,465	4,181	0,0	4,2	49,4
02 02	წყლის სისტემის განვითარება	11,7	0,7	11,057	0,6	0,0	0,6	5,1
02 02 01	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	6,7	0,7	6,057	0,600	0,0	0,6	8,9
02 02 02	კანალიზაციის სისტემების განვითარება (სანიაღვრე არხების მოწყობა)	5,0	0,0	5,000	0,0	0,0	0,0	0,0
02 03	გარე განათება	73,5	0,0	73,525	67,752	0,0	67,752	92,1
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	73,5	0,0	73,525	67,8	0,0	67,8	92,1
02 04	მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია	28,1	25,8	2,343	27,815	25,775	2,0	98,9
02 05	კეთილმოწყობა	60,4	0,0	60,438	60,0	0,0	60,0	99,3
02 05 03	კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	60,4	0,0	60,438	60,0	0,0	60,0	99,3
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	5,1	0,0	5,100	0,400	0,0	0,4	7,8
02 10	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა	5,0	0,0	5,000	0,0	0,0	0,0	0,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	355,474	0,0	355,474	328,848	0,0	328,8	92,5
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	302,4	0,0	302,414	280,811	0,0	280,8	92,9
03 02	მწვანე ნარჩენების მოვლა-პატრონობა	48,1	0,0	48,060	48,0	0,0	48,0	100,0
03 03	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	5,0	0,0	5,000	0,0	0,0	0,000	0,0
04 00	განათლება	973,133	469,8	503,320	781,547	342,6	439,0	80,3
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	441,3	0,0	441,300	381,374	0,0	381,4	86,4
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	127,8	124,5	3,308	123,8	121,2	2,6	96,9
04 03	მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების	330,8	330,8	0,000	213,9	213,9	0,0	64,7

ორგ. კოდი	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	2022 წლის პირველი კვარტლის გეგმა			2022 წლის იანვარ-მარტი შესრულება			გვარჯილის გეგმის შესრულების %
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
	პროგრამა							
04 04	სკოლების რეაბილიტაცია	14,6	14,6	0,000	7,434	7,4	0,0	51,1
04 05	ზოგადი განათლების ხელშეწყობა (ინტერნატი)	25,9		25,922	22,8		22,8	87,9
04 06	სკოლისგარეშე განათლების პროგრამა (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი)	32,8	0,0	32,790	32,3	0,0	32,3	98,4
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	427,8	0,0	427,790	358,953	0,0	359,0	83,9
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	138,9	0,0	138,900	108,270	0,0	108,3	77,9
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	2,6	0,0	2,550	0,000	0,0	0,0	0,0
05 01 02	სპორტისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობა	116,4	0,0	116,350	108,3	0,0	108,3	93,1
05 01 03	სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	20,0	0,0	20,000	0,0	0,0	0,0	0,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	253,5	0,0	253,515	231,269	0,0	231,3	91,2
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	251,0	0,0	251,015	230,109	0,0	230,1	91,7
05 02 01 01	სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა	41,7	0,0	41,740	39,123	0,0	39,1	93,7
05 02 01 02	კულტურისა და ხელოვნების ხელშეწყობა	204,1	0,0	204,100	185,811	0,0	185,8	91,0
05 02 01 03	ფოლკლორის ხელშეწყობის პროგრამა	5,2	0,0	5,175	5,2	0,0	5,2	100,0
05 02 02	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	2,5	0,0	2,500	1,2	0,0	1,2	46,4
05 03	მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ხელშეწყობის პროგრამა	21,0	0,0	21,000	19,2	0,0	19,2	91,4
05 02 03	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0,0	0,0	0,000	0,0	0,0	0,0	#DIV/0!
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	7,5	0,0	7,500	0,0	0,0	0,0	0,0
05 05	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	6,9	0,0	6,875	0,210	0,0	0,2	3,1
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	477,234	22,5	454,734	406,405	22,170	384,2	85,2
06 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	58,2	22,0	36,184	49,031	21,9	27,1	84,3
06 02	ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია, მშენებლობა აღჭურვა	15,0	0,0	15,000	1,200	0,000	1,200	8,0
06 03	სოციალური დაცვა	404,1	0,5	403,550	356,174	0,3	355,9	88,2
06 03 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	122,0	0,0	122,000	121,420	0,0	121,4	99,5
06 03 03	შშმ პირთა დახმარების პროგრამა	13,0	0,0	13,000	9,717	0,0	9,7	74,7
06 03 04	ერთჯერადი ფინანსური დახმარება	87,0	0,0	87,000	84,425	0,0	84,4	97,0
06 03 05	ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება	10,0	0,0	10,000	6,350	0,0	6,4	63,5
06 03 06	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	16,0	0,0	16,000	15,800	0,0	15,8	98,8
06 03 07	მარტოხელა მშობლების დახმარების პროგრამა	2,0	0,0	2,000	1,300	0,0	1,3	65,0
06 03 08	მარჩენალდაკარგულთა დახმარების ქვეპროგრამა	2,0	0,0	2,000	1,900	0,0	1,9	95,0
06 03 09	ყოველთვიური დახმარების პროგრამა	16,3	0,0	16,300	14,150	0,0	14,2	86,8
06 03 10	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულთა დახმარების პროგრამა	0,0	0,0	0,000	0,000	0,0	0,0	#DIV/0!
06 03 11	ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა	2,0	0,0	2,000	1,000	0,0	1,0	50,0
06 03 12	სადღესასწაულო დღეების დახმარება	30,0	0,0	30,000	24,720	0,0	24,7	82,4
06 03 13	სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	3,0	0,0	3,000	2,900	0,0	2,9	96,7
06 03 14	უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით დახმარების პროგრამა	10,0	0,0	10,000	9,900	0,0	9,9	99,0
06 03 15	ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა	5,0	0,0	5,000	5,0	0,0	5,000	100,0
06 03 16	გარდაცვლილი დეენილის ან ვეტერანის დაკრძალვა	0,5	0,5	0,000	0,3	0,250	0,0	50,0
06 03 17	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და/ან მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების დახმარება	5,3	0,0	5,250	5,250	0,0	5,250	100,0
06 03 18	უფასო სასაბუღალტრო	70,0	0,0	70,000	45,7	0,0	45,7	65,3
06 03 19	სოციალური დაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	2,5	0,0	2,500	0,0	0,0	0,0	0,0
06 03 20	გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამა	3,0	0,0	3,000	2,0	0,0	2,0	66,7
06 03 21	ომისა და სამხედრო მალეების ვეტერანთა დახმარება	4,5	0,0	4,500	4,4	0,0	4,4	97,8

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების დაფინანსებაზე - პროგრამული კოდი 01 00 დაგეგმილი 1 231,5 ათასი ლარიდან გაწეულია 948,5 ათასი ლარი, დაფინანსებულია 77 %-ით,

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები დაგეგმილი 340,3 ათასი ლარიდან გაწეულია 243,2 ათასი ლარი და დაფინანსებულია 71,5 პროცენტით. ხარჯების ანაზღაურებაზე 33,7 ათ. ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდაზე 32,5 ათ. ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 843,2 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 679,5 ათასი ლარი, 80,6 პროცენტით. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის დაფინანსებაზე დაგეგმილი 30,7 ათასი ლარიდან გაწეულია 24,8 ათ. ლარი, აქედან საკუთარი სახსრებით 8,3 ათასი ლარი და დანარჩენი 16,5 ათ. ლარი მიზნობრივი ტრანსფერით.

2022 წლის თვითმმართველობის სარეზერვო ფონდიდან მერის ბრძანებით უკვე გამოყოფილი და გადანაწილებულია 9,0 ათასი ლარი და მიმართულია სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარებაზე - პროგრამული კოდი 06 03 01;

ინფრასტრუქტურის განვითარება - პროგრამული კოდი 02 00, 2022 წლის პირველი კვარტალში დაგეგმილი 1 417,8 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 342,8 ათასი ლარით.

აღნიშნულ პრიორიტეტზე ხარჯების სიმცირის ძირითადი მიზეზი არის დიდთოვლობა. ფაქტიურად კი ყველა ძირითად მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე უკვე დასრულებულია სატენდერო და სახელშეკრულებო სამუშაოები, უკვე აღებულია ვალდებულებები და შესაბამისი მეტერეოლოგიური პირობების გაუმჯობესებასთან ერთად დაიწყება აქტიური სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და შენახვაზე დაგეგმილი 1 233,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 186,2 ათასი ლარი, წინა წელთან შედარებით 456,1 ათასი ლარით ნაკლები. 2021 წლის პირველ კვარტალში დახარჯულია 642,3 ათასი ლარი.

მათ შორის: გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დახარჯულია 171,2 ათასი ლარი მთლიანად სახ. ფონდების ხარჯზე საქ. მთავრობის 2022 წლის N 75 განკარგულებით

ცხრ. N 3

საქართველოს მთავრობის N 75 განკარგულება(17.01.2022)			
ხელმ.N	პროექტის დასახელება	პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელსგამოყოფილი თანხა	გადარიცხული თანხა ფონდით
	სულ	2 775,762	171,230
168	ბორითში საუბნო გზების რეაბილიტაცია (გორგამეების, ფაბრიკის უბანი)	36,853	22,934
162	სოფელ ლელვანში გზის რეაბილიტაცია (ქვიანთი)	50,077	33,296
45	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ მახათუბანის ორ უბანში გზის რეაბილიტაცია (II ეტაპი)	200,000	40,000
41	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხნალში ბარის უბნის გზის რეაბილიტაცია (III ეტაპი)	150,000	30,000
52	ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩამეთში საუბნო გზის რეაბილიტაცია (მესერძიძეების უბანი)	150,000	30,000
34	სოფელ ლაშეში საუბნო გზის რეაბილიტაცია (ცეციტიშვილების უბანი)	75,000	15,000

გზების მიმდინარე შეკეთებაზე (გასწორხაზოვნება, თოვლის საფარისაგან გაწმენდა) დაიხარჯა 10,8 ათასი ლარი საკ. სახსრებით, აქედან გზების მოვლა-პატრონობაზე დახარჯულია 9,7 ათასი ლარი და 1,1 ათ. ლარი სატენდერო მომსახურებაზე არის მიმართული.

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად პირველ კვარტალში დახარჯულია 4,2 ათასი ლარი მ. შ. ხარაგაული-რკინიგზის სადგური-საავადმყოფო-თეთრაწყარო-კიცხი -ფარცხნალი რეისზე 2,1 ათასი ლარი და ნადაბური-ხევი-ხარაგაული-ხევი-ნადაბური რეისზე - 1,1 ათ.ლარი და ხარაგაული-მოლითი-ხარაგაულის რეისზე -1,0 ათასი ლარი.

სასმელი წყლის უზრუნველსაყოფად პირველ კვარტალში დახარჯულია 0,6 ათასი ლარი, რომელიც სოფელ ლახუნდარის წყალსაქაჩის და სოფელ ღორეშის ჭაბურღილზე ელექტროენერჯის დაერთების ხარჯებზე იქნა მიმართული.

გარე განათების სუბსიდირებას მოხმარდა 67,8 ათასი ლარი, აღსანიშნავია რომ გასულ წელს 52,6 ათ, ლარი იყო დახარჯული პირველ კვარტალში.

მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაციას მოხმარდა 27,8 ათასი ლარი, აქედან 25,8 ათასი ლარი საქ. მთავრობის N 2685 განკარგულებით და 2,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით, რომელიც მთლიანად მოხმარდა სოფ დიდვაკეში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აივნების რეაბილიტაციას.

კეთილმოწყობის ობიექტების რეაბილიტაციაზე დახარჯულია 60,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით და მთლიანად მოხმარდა დაბაში ცენტრალური პარკის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენას.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით დაიხარჯა 0,4 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით და მოხმარდა სოფ.ბორითში ფაბრიკების უბანში გარე-განათების ელექტროგამანაწილებელ ქსელზე მიერთების თანხის ანაზღაურებას.

დასუფთავება და გარემოს დაცვა პროგრამული კოდი 03 00 დაგეგმილი 355,5 ათასი ლარიდან დაიხარჯა 328,8 ათასი ლარი, 92,5 %. მ. შ. ნარჩენების გატანაზე 280,2 ათასი ლარი და მწვანე ნარგავების მოვლაზე 48,0 ათასი ლარი. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით აღნიშნული პრიორიტეტის დაფინანსება 91,8 ათასი ლარით არის გაზრდილი. 2021 წლის პირველ კვარტალში აღნიშნულ პრიორიტეტს მოხმარდა 237,0 ათასი ლარი.

განათლებაზე- პროგრამული კოდი 04 00 2022 წლის პირველ კვარტალში გათვალისწინებული 973,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 781,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 80,3 პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე დახარჯულია 381,4 ათასი ლარი, საბავშვო ბაღების რეაბილიტაციაზე 123,8 ათასი ლარი, აქედან საქ. მთავრობის N 1419 განკარგულებით 121,2 ათასი ლარი და მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით 2,6 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად მოხმარდა საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული სოფელ ხუნევის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციას.

მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების უზრუნველყოფისათვის დაიხარჯა 213,9 5 ათასი ლარი, საქ. მთავრობის 2022 წლის N 51 განკარგულებით. სკოლების რეაბილიტაციაზე საქ. მთავრობის 2020 წლის N 27 განკარგულების ნაშთიდან 7,4 ათ. ლარი არის დახარჯული, რომელიც მოხმარდა სოფელ სარგვემის საჯარო სკოლის შენობაში ელ. გაყვანილობის, განათების სისტემის და სამტეფცელო ქსელის რეაბილიტაციის შესრულებულ სამუშაოებს.

სკოლა-ინტერნატის სუბსიდირებაზე დახარჯულია – 22,8 ათასი ლარი, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 32,3 ათასი ლარი

სულ განათლების დაფინანსებაზე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით გაწეულია 129,6 ათასი ლარით მეტი ხარჯი. გასული წლის პირველ კვარტალში განათლებას მოხმარდა 651,9 ათასი ლარი.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი - პროგრამული კოდი 05 00 დაგეგმილი 427,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 358,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 83,9 პროცენტით, აქედან სპორტის განვითარებაზე დახარჯულია 108,3 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსებას მოხმარდა.

კულტურის სფეროს განვითარებაზე დაგეგმილი 253,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 231,3 ათასი ლარი და დაფინანსებულია 91,2 პროცენტით, აქედან:

ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 39,1 ათასი ლარი, ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სუბსიდირებაზე 185,8 ათასი ლარი, ფოლკლორის ხელშეწყობაზე 5,2 ათასი ლარი და კულტურულ ღონისძიებებზე 1,2 ათასი ლარი;

ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის სუბსიდირებაზე 19,2 ათასი ლარი;

გასულ წლის პირველ კვარტალთან შედარებით მიმდინარე წელს კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების სფეროს დაფინანსებას მოხმარდა 70,2 ათასი ლარით მეტი. გასული წლის პირველ კვარტალში აღნიშნულ პრიორიტეტზე დახარჯული იყო 288,7 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე პროგრამული კოდი 06 00, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი 477,2 ათასი ლარიდან დაიხარჯა 406,4 ათასი ლარი, 85,2 %. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები თითქმის გაორმაგებული. 2021 წლის პირველ კვარტალში აღნიშნულ პრიორიტეტზე დახარჯული იყო 215,5 ათასი ლარი.

აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 49,0 ათასი ლარი, მ. შ. 21,9 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერით, ხოლო 27,1 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაციას მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით მოხმარდა 1,2 ათ. ლარი ხევის ა/ე-ში ამბულატორიისათვის ფართის დაქირავების ხარჯის ანაზღაურებას.

სოციალურ პროგრამებზე დაგეგმილი 404,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 356,2 ათასი ლარი - 88,2 %, თუმცა პირველ კვარტალში გაცემულია უფრო მეტი საგარანტიო ვალდებულებები, რომელიც შემდეგში იქნება ანაზღაურებული. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2022 წლის პირველ კვარტალში 175,3 ათასი ლარით მეტია დახარჯული სოციალური დაცვის პროგრამებზე.

გაწეული სოციალური ხარჯებიდან მიმართულია:

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამაზე 121,4 ათასი ლარი 352 ბენეფიციარზე; შშმ პირთა დახმარების პროგრამაზე 9,7 ათასი ლარი - 57 ბენეფიციარი; ერთჯერად ფინანსურ დახმარებაზე 84,4 ათასი ლარი - 421 ბენეფიციარი; ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარებაზე 6,3 ათასი ლარი - 11 ბენეფიციარი ; მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზე 15,8 ათასი ლარი - 38 ბენეფიციარი; მარტოხელა მშობლების დახმარებაზე 1,3 ათასი ლარი - 9 ბენეფიციარი; მარჩენალდაკარგულთა დახმარებაზე 1,9 ათასი ლარი -9 ბენეფიციარი; ყოველთვიური დახმარების პროგრამაზე 14,2 ათასი ლარი - 95 ბენეფიციარი; ხანდაზმულთა დახმარების პროგრამაზე 1,0 ათასი ლარი - ერთი ბენეფიციარი; სადღესასწაულო დღეების დახმარებაზე 24,7 ათასი ლარი - 543 ბენეფიციარზე; სოციალურად დაუცველ და უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამაზე 2,9 ათასი ლარი - 14 განცხადება; უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების სათბობი მასალით მომარაგებაზე 9,9 ათასი ლარი - 45 ოჯახზე , ახალშობილთა ოჯახების დახმარების ქვეპროგრამაზე 5,0 ათასი ლარი - 26 ბენეფიციარი ; გარდაცვლილელი ვეტერანის დაკრძალვის ხარჯებზე 0,3 ათასი ლარი - ერთი ბენეფიციარი . სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე

ოჯახების დახმარებაზე 5,3 ათასი ლარი. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა დახმარებაზე 4,4 ათ. ლარი - 18 ბენეფიციარზე და გადაუდებელი რეაგირების ქვეპროგრამაზე 2,0 ათასი ლარი - ერთ ბენეფიციარზე.

უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 45,7 ათასი ლარი - 105 მოსარგებლებზე, სასადილოში იკვებება დაბაში მცხოვრები 75 ბენეფიციარი კვირაში ექვსი დღე და სამი სოფლის 30 ბენეფიციარი კვირაში ორი დღე. ბენეფიციარებისათვის პირობების გაუმჯობესების მიზნით სამზარეულოსა და სასადილო ოთახებს ჩაუტარდათ კოსმეტიკური რემონტი. ასევე შეძენილი იქნა სამზარეულოსათვის საჭირო მცირეფასიანი ინვენტარი. არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 6,0 ათასი ლარი, რომლითაც შეძენილი იქნა პერსონალური კომპიუტერი, გაზის გამათბობელი, ექვსკამფორიანი გაზქურა და საცხობი ღუმელი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპების და სსიპ-ის 2022 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულება.

	ა(ა)იპების დასახელება	2022 წლის პირველი კვარტლის ბეგემა	2022 წლის პირველი კვარტლის ფაქტი	მათ შორის				სკუთარი შემოსავლების ხარჯვა ფაქტიურად		
				შრომის ანაზღაურება	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	სხვა დანარჩენი ხარჯები	არაფინანსური აქტივების ზრდა	სულ	მ.შ	
									შრომის ანაზღაურება	სხვა ხარჯები
1	სულ ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება მ. შ.	428,9	396,6	247,3	0,0	148,7	0,6	0,0	0,0	0,0
	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	73,5	67,8	18,8	0,0	49,0	0,0	0,0	0,0	0,0
	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	302,4	280,8	180,5	0,0	99,7	0,6	0,0	0,0	
	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა	48,0	48,0	48,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	უპატრონო ცხოველების იზოლაცია	5,0	0,0		0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
2	ა(ა)იპ ე.კიკნაძის სახელობის სკოლაში დედულ დაწესებულებათა გაერთიანება	441,3	381,4	341,8	0,0	39,6		0,0	0,0	0,0
3	სსიპ ბორის სკოლა პანსიონი	23,5	22,8	22,5	0,0	0,3	0,0	0,0	0,0	0,0
4	ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი	32,8	32,3	31,9	0,0	0,4	0,0	0,1	0,0	0,1
5	ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი	116,4	108,3	99,8	0,0	8,5	0,0	0,0	0,0	
6	ა(ა)იპ შ.ბუაჩიძის სამუსიკო სკოლა	41,7	39,1	38,8	0,0	0,3	0,0	0,1	0,0	0,1
7	ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრი	204,1	185,8	176,2		9,6		0,0		0,0
8	ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი	21,0	19,2	12,5	0,0	6,7	0,0	0,0	0,0	0,0
9	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი	58,2	49,0	41,4	1,7	5,9		10,5	9,9	0,6
10	ა(ა)იპ სათნოების სახლი	50,1	45,7	16,6	0,0	23,1	6,0	0,0	0,0	0,0
		1418,0	1280,2	1028,8	1,7	243,1	6,6	10,7	9,9	0,8
11	ფოლკლორი	5,2	5,2	5,2	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

	ა(ა)იპების დასახელება	2022 წლის პირველი კვარტლის მეგობა	2022 წლის პირველი კვარტლის ფაქტი	მათ შორის				სკუთარი შემოსავლების ხარჯვა ფაქტიურად		
				შრომის ანაზღაურება	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	სხვა დანარჩენი ხარჯები	არაფინანსური აქტივების ზრდა	სულ	მ.შ	
									შრომის ანაზღაურება	სხვა ხარჯები
	სულ	1423,2	1285,4	1034,0	1,7	243,1	6,6	10,7	9,9	0,8

მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების და სსიპ-ების მიერ 2022 წლის პირველ კვარტალში დაგეგმილი 1 423,2 ათასი ლარიდან ათვისებულია 1 285,4 ათასი ლარი, 90,3 %.